ხელშკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № სშ/16-003

ქ. ბათუმი 04 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, **სს „სილქნეტი“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი აჭარის სერვისცენტრების უფროსის ნუგზარ ნაკაშიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, „ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის **ადგილობრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების CPV64210000** (შემდგომში–მომსახურება) გაწევა, დანართი #1 –ის შესაბამისად.
1.2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3500** (სამიათას ხუთასი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დღგ–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციის უფროსი.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციის უფროსი.
7.2. ინსპექტირების მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.1 % ოდენობით.

9.2 თუ პირგასამტეხლოს მთლიანი ჯამი გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	სს ,,სილქნეტი“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. თბილისი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	წინამძღვრიშვილის ქუჩა #95
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 204566978
სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“	სს ,,საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: UGEBGE22	ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE76VT5500000000053402	ა/ა GE41BG0000000878415000
შპს ,,სანდასუფთავება“	**სს ,,სილქნეტი“**
დირექტორი	**აჭარის სერვისცენტრების უფროსი**
დავით ასამბაძე	**ნუგზარ ნაკაშიძე**

ხელშეკრულება # სშ/16-003–ის დანართი

სილქნეტის ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურების შესახებ

ხელმოწერის თარიღი 04.01.2016 წ.

ანგარიშის ნომერი	ნომერი	სერვისი	სერ.მიწოდების მისამართი	სააბონენტო
90173228	422246723	ხაზის ტელეფონი	ბათუმი. ჯავახიშვილის ქ. N 55	10 ლარი
90173228	422247020	ხაზის ტელეფონი	ბათუმი. ჯავახიშვილის ქ. N 55	10 ლარი

წინამდებარე დანართით უქმდება ამავე სახის მომსახურებაზე გაფორმებული წინა დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინამდებარე დანართით არ უქმდება (ძალაში რჩება) ამავე სახის მომსახურებაზე გაფორმებული წინა დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. სატარიფო გეგმა (ლარში)

ძირითადი ტარიფები	თბილისი	რუსთავი		სხვა რეგიონები (გარდა ქუთაისისა)
		საბიუჯეტო	არასაბიუჯეტო	
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	10	6	8	10
1 წუთი ზარის ღირებულება:				
ადგილობრივი ზარი სილქნეტის ქსელში	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო
საქალაქთაშორისო ზარი სილქნეტის ქსელში	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო
ზარი სილქნეტის მობილურ ქსელში (S1)	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში (გარდა კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06	0.02	0.02	0.06
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში : ("ახალი ქსელები" (თბილისი და ქუთაისი);"ახტელი";„სიჯისი";„მეტაკომი)	0.04	0.02	0.02	0.04
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში (გარდა კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06	0.06	0.06	0.06
ზარი კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით	0.08	0.08	0.08	0.08
ზარი გლობალ სელის მობილურ ქსელში	0.32	0.32	0.32	0.32
ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ უსადენო ქსელში	0.04	0.06	0.06	0.06
ზარი სხვა ოპერატორების მობილურ ქსელში	0.32	0.32	0.32	0.32
ინსტალაციის ღირებულება:	140	40	40	120

შენიშვნა:

მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში და მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებით ღირებულების გადასახადს (დღგ-ს);

2. **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**
   - მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო **თვის 25 რიცხვის ჩათვლით.**
3. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
   - უვადო
4. **მომსახურების შეზღუდვის პირობები**
   - მომსახურება ცალმხრივად იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, **გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან.**
   - ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახადი, ასევე აბონენტს ერთჯერადად დაერიცხება ჯარიმა ყოველ საანგარიშო თვეზე, არაუმეტეს 1 ლარის ოდენობით.
   - ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარები).
   - ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და გაასხვისოს სატელეფონო ნომერი.
   - იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული მომსახურება, მას არ ერიცხება სააბონენტო გადასახადი და დავალიანების ჯარიმა.
   - 2014 წლის 01 ოქტომბრიდან, აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%–ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო)). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მოწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად.
5. **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები(წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**
   - ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.
   - აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს კომპანიის სერვის–ცენტრში აბონენტის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენით.
   - ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6. **მომსახურების აღდგენის პირობები**
   - ცალმხრივად შეზღუდვიდან ორმხრივად შეზღუდვამდე პერიოდში აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო მომსახურება დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში.
   - ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო მომსახურება დავალიანებისა და აღდგენის ღირებულების სრულად დაფარვის შემთხვევაში.
   - სატელეფონო მომსახურების აღდგენის ღირებულება განისაზღვრება 20 (ოცი) ლარით.
7. წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, გაუქმების პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „სილქნეტის“ ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და სს „სილქნეტის“ მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200.

შპს ,,სანდასუფთავება“	**სს ,,სილქნეტი“**
დირექტორი	**აჭარის სერვისცენტრების უფროსი**
დავით ასამბაძე	**ნუგზარ ნაკაშიძე**

CDMA ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურების შესახებ

ხელმოწერის თარიღი 04.01.2016 წ.

პირადი ანგარიში	ტელეფონის ნომერი	მომსახურება
90173228	422294061	SILKNET-ის უკაბელო ტელეფონი
90173228	422294065	SILKNET-ის უკაბელო ტელეფონი
90173228	422294063	SILKNET-ის უკაბელო ტელეფონი
90173228	422294062	SILKNET-ის უკაბელო ტელეფონი
90173228	422294064	SILKNET-ის უკაბელო ტელეფონი

☐ წინამდებარედანართით უქმდება ამავე სახის მომსახურებაზე გაფორმებული წინა დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

☐ წინამდებარე დანართით არ უქმდება (ძალაში რჩება) ამავე სახის მომსახურებაზე გაფორმებული წინა დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. სატარიფო გეგმა (ლარში)

ყოველთვიური საბონენტო გადასახადი	15
საბონენტი გადასახადი მოიცავს სილქნეტის ადგილობრივ და საქალაქთაშორისო ქსელში ზარების ღირებულებას	ულიმიტო
საბონენტი გადასახადი მოიცავს SMS პაკეტებით გათვალისწინებული რაოდენობის ღირებულებას	150 ცალი SMS
ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან და უსადენო ქსელში : ("ახალი ქსელები" (თბილისი და ქუთაისი);"ახტელი";„სიჯისი";„მეტაკომი" ; „მაგთიფიქსი")	0.04
ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებული სადენიან ქსელში, (გარდა კავკასუს ონლაინის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06
ზარი კავკასუს ონლაინის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით	0.08
საბონენტო გადასახადი მოიცავს სილქნეტის მობილურ ქსელში ზარების ღირებულებას	ულიმიტო
მობილური ქსელის ოპერატორების მიმართულებთ: მაგთი და ჯეოსელი	0.10
მობილური ქსელის ოპერატორების მიმართულებით: ბილაინი	0.15
მობილური ქსელის ოპერატორების მიმართულებით: გლობალ სელი	0.15
1 SMS-ის ღირებულება ლიმიტის ამოწურვის შემდეგ*	0.03
1X ინტერნეტის აქტივაციის ღირებულება**	გათვალისწინებულია საბონენტო გადასახადში
დავალიანების ლიმიტი (ორგანიზაციის მოთხოვნიდან გამომდინარე)	□30 □50 □80 □120

შენიშვნა:

*გამოუყენებელი SMS-ების რაოდენობა მომდევნო თვეში არ გადადის.

**1X ინტერნეტის მომსახურების ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია აბონენტს შეუძლია გაეცნოს „სილქნეტის" ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და „სილქნეტის" მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200.

- მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში და მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებით ღირებულების გადასახადს (დღგ-ს).
- აბონენტს სატელეფონო ნომერი საკუთრებაში არ გადაეცემა.

2. **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**
   - მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, ნებისმიერ დღეს.
   - მოქმედი ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ამოწურვისთანავე.
   - მომსახურების აღდგენა ხდება დავალიანების თანხის გადახდისა და გადახდილი თანხის კომპანიის ანგარიშზე ასახვისთანავე.

3. **მომსახურების შეზღუდვის პირობები**

3.1. **მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვა**
   - თუ აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას მისი წარმოქმნიდან არასრული 3 (სამი) თვის განმავლობაში, მეოთხე თვის 1 ან 2 რიცხვში სატელეფონო მომსახურება შეიზღუდება ცალმხრივად.
   - თუ აბონენტის დავალიანება არ აღემატება 0.10 ლარს, აბონენტს სატელეფონო მომსახურება არ ეზღუდება, ხოლო არსებული დავალიანება გადადის მომდევნო თვეში.
   - ცალმხრივად შეზღუდვის პერიოდში აბონენტს ერიცხება საბონენტო გადასახადი, ასევე აბონენტს ერთჯერადად დაერიცხება ჯარიმა ყოველ საანგარიშო თვეზე, არაუმეტეს 1 (ერთი) ლარის ოდენობით.
   - 2014 წლის 01 ოქტომბრიდან, აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული საბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების საბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%–ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ

სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო)). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მოწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად.

3.2. **მომსახურების ორმხრივად შეზღუდვა**

- ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარი).
- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ კომპანია უფლებამოსილია გაასხვისოს სატელეფონო ნომერი.

4. **მომსახურების აღდგენა**

- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო ნომერი და სატელეფონო მომსახურება.
- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ აბონენტს საშუალება ეძლევა გაიაქტიუროს სატელეფონო ნომერი და სატელეფონო მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვისა და ნომრით სარგებლობის ღირებულების (ფასიანი სატელეფონო ნომრის შემთხვევაში) გადახდის პირობით, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების აქტივაციის მოთხოვნის დროისთვის სანომრე რესურსი გასხვისებულია, აბონენტი ვერ შეძლებს ნომრის აღდგენას.

5. **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები (წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**

- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.
- აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს კომპანიის სერვის–ცენტრში აბონენტის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენით.
- ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, გაუქმების პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „სილქნეტის“ ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და სს „სილქნეტის“ მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200

შპს ,,სანდასუფთავება“	**სს ,,სილქნეტი“**
დირექტორი	**აჭარის სერვისცენტრების უფროსი**
დავით ასამბაძე	ნუგზარ ნაკაშიძე